ახალი ხარაგაული

№433 (8) 14 ივნისი, 2021 წ.

ხარაგაულის მერმა თათბირზე მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობდა. თათბირზე მერმა, მოადგილეებთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა.

საუბარი შეეხო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს. როგორც კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სამუშაოები აქტიურად ხორციელდება, გარდა ამისა, პარალელურად მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების დაზუსტება და ხელშეკრულებების გაფორმება. ხარაგაულის მერის ინფორმაციით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში 156 პროექტი განხორციელდება.

შეხვედრაზე განიხილეს სოფლებში არსებული გამოწვევები და რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს. კობა ლურსმანაშვილის თქმით, წინა წლებში დაუსრულებელ ათ პროექტზე სამუშაოები განახლდა, ასევე მიმდინარე წელს დაფინანსებულ 20 პროექტზე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ხარაგაულს დამატებით 2 104 678 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებში 14 პროექტი განხორციელდება.

ხარაგაულის მერმა წარმომადგენლებს სოფლებში მიმდინარე პროექტების ყოველდღიურ რეჟიმში ადგილზე მონიტორინგი დაავალა. კობა ლურსმანაშვილმა ხაზგასმით განმარტა, რომ სამუშაოების ეფექტურად და დროულად შესრულების მიზნით, მუდმივი კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს შემსრულებელ კომპანიებზე. ,,ჩვენ არ დავუშვებთ, რომ უპასუხისმგებლო მეწარმეების გამო, ის სიკეთეები, რომლებიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებიდან მოდის, დროულად არ მივიდეს მოსახლეობამდე. თუ ვინმე აღებულ ვალდებულებებს ვადებში ვერ შეასრულებს, სატენდერო პირობების თანახმად, დაჯარიმდებიან და ხელშეკრულებები შეუწყდებათ.“- განმარტა ხარაგაულის მერმა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის საკითხზე ისაუბრა მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა. მისივე განმარტებით, მას მუდმივი კომუნიკაცია აქვს მერის წარმომადგენლებთან და მაქსიმალურად ცდილობს, არცერთი განცხადება უყურადღებოდ არ დარჩეს. ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, მოქალაქეები, ძირითადად, სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებასა და ერთჯერად ფინანსურ დახმარებას ითხოვენ.

სოციალური თემატიკის განხილვისას აღინიშნა, რომ სოციალური პროგრამებით სარგებლობისას მოქალაქეთა მხრიდან შემოსულ განცხადებებს აუცილებლად უნდა ერთვოდეს მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

დასასრულს, კობა ლურსმანაშვილმა მერის წარმომადგენლებს შესაბამისი დავალებები მისცა და თითოეულ მათგანს ხალხთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა.

ღორეშა-სარგვეში-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა დასრულდა. ამიერიდან მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, ხარაგაული - ბაზალეთი-სარგვეში-ღორეშა-უბისის გავლით, თბილისი-სენაკი ლესელიძის საერთაშორისო ავტომაგისტრალს ახლად რეაბილიტირებული გზით დაუკავშირდეს. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია ,,კავკასუს როუდ პროჯექტმა“ შეასრულა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 8 730 100 ლარით

დაფინანსდა.

ახლად რეაბილიტირებული გზა მოინახულეს ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა და მერის მოადგილე დავით დევდარიანმა.

,,ჩემი გამგებლობის პერიოდში (2013-2016წ.წ.) ბაზალეთამდე დაიგო ასფალტი, უბისიდან ღორეშამდე - ბეტონის საფარი. დარჩენილი გვქონდა შუალედური 11 - კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდა. ვფიქრობ, აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ამ ზონის განვითარებას და შეაჩერებს მიგრაციას.“-განმარტა ხარაგაულის მერმა.

აქვე მოგახსენებთ, რომ პროექტის ფარგლებში გზის მიმდებარედ მოეწყო მოსაცდელები. გარდა ამისა, განხორციელდა ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდინარე ყარნებაზე.

აღნიშნული გზა ერთმანეთთან ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულს აკავშირებს.

ხარაგაულის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ბავშვებმა ნუნისში სარეაბილიტაციო კურსი გაიარეს

კურორტ ნუნისში საქართველოში პირველი პოსტკოვიდური რეაბილიტაციის პროგრამა ამოქმედდა, რომელიც შვეიცარიის სარეაბილიტაციო ცენტრების გამოცდილებას ეყრდნობა. პროგრამა ითვალისწინებს 7 ან 14-დღიან სარეაბილიტაციო კურსს, რომელსაც პროფესორი ლერი ლაფანაშვილი ხელმძღვანელობს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი კურსი გაიარეს ხარაგაულელმა ბავშვებმა. კურსი უშუალოდ მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, ხორციელდება და სამი ეტაპისგან შედგება. ბ-ნ კობას ინფორმაციით, პრიორიტეტი მიენიჭა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, რომლებმაც კორონავირუსი გადაიტანეს და შემდეგ მათი ჯანმრთელობისთვის გამაჯანსაღებელი კურსი მნიშვნელოვანი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ნუნისში პირადად გაეცნო პროექტის მიმდინარეობას.

,,სარეაბილიტაციო კურსი სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

რომელშიც შედის სასტუმროში განთავსება, სამჯერადი კვება და გამაჯანსაღებელი კურსი სხვადასხვა ვარჯიშით, ასევე სპეციალური აპარატურით“,-განმარტავს ვარლამ ჭიპაშვილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბალნეოლოგიურმა კურორტმა ნუნისმა, რომელიც მაღალმთიან ზონაში, ულამაზეს ხეობაში მდებარეობს, პოსტკოვიდური სარეაბილიტაციო პროგრამის ასამოქმედებლად მაღალი შეფასება სწორედ მისი ადგილმდებარეობის გამო მიიღო.

ნარაგაულის მერიაში ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა დაინერგა

ხარაგაულის მერიაში მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა დაინერგა. უკვე რამდენიმე დღეა, მერია და საკრებულო ახალი დოკუმენტბრუნვის სისტემით (MSDA) სარგებლობს. აქვე მოგახსენებთ, რომ თანამშრომლების გადამზადება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელმა, ბიზნეს ანალიტიკოსმა თამთა ორჯონიკიძემ უზრუნველყო. სწავლება ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაო შეხვედრებს ითვალისწინებდა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მიიჩნევს, რომ ახალი ელექტრონული სისტემა ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობას. „აღნიშნული სერვისის დანერგვა ყველას მისცემს შესაძლებლობას, თავად ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე კი ჩვენს საქმიანობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას უფრო მოქნილს გახდის. მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული სერვისების დანერგვისას, ძირითადი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მოსახლეობამ რაც შეიძლება მარტივად დაამყაროს კომუნიკაცია ჩვენთან“, -აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

აღსანიშნავია, რომ პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა (WB) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

აქვე გეტყვით, რომ პროექტის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების გაძლიერებას, საქმისწარმოების გამჭვირვალე პროცესებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

ხარაგაულის მერმა ხევსა და წყალაფორეთში მერის ახალი წარმომადგენლები დანიშნა

ხევისა და წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის ახალი წარმომადგენლები დაინიშნენ. ხევში ოლეგ ხაჩიძე შეუდგა საქმიანობას. რაც შეეხება წყალაფორეთს - როინ გელაშვილი უხელმძღვანელებს.

ოლეგ ხაჩიძე

როინი პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსია. მას საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ბატონი როინი 2013-2014 წ.წ. ერთხელ უკვე იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას. შემდეგ გახლდათ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, ამ დრომდე კი მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურში საქმიანობდა.

როინ გელაშვილის განმარტებით, ის მაქსიმალურად შეეცდება, დაგროვილი გამოცდილება გამოიყენოს იმ თემის უკეთესი ყოფისთვის, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

თავის მხრივ, ოლეგ ხაჩიძემ მზადყოფნა გამოთქვა, უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ჩაერთოს სოფლისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში და ყველა გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს. ოლეგი წლების განმავლობაში სამედიცინო სფეროში წამყვან პოზიციებზე მუშაობდა, თუმცა რამდენიმე ხნის წინ მშობლიურ ხევში დაბრუნდა. მისი სურვილია, სოფლის განვითარებისათვის, რაც შეიძლება, მეტი გააკეთოს და აქ მცხოვრებლებს, კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება გაუწიოს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული საქმიანობის მიმდინარეობას ხარაგაულის მერი პირადად ეცნობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება და ბეტონის საფარი იგება ისეთ მონაკვეთებზე, სადაც კეთილმოწყობილი გზა არასდროს ყოფილა. ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს ადგილზე ახორციელებს და უშუალოდ ეცნობა შესრულებულ სამუშაოებს.

კობა ლურსმანაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, საქარიქედი - ლაშის იგორეთის დამაკავშირებელ მონაკვეთზე გზის მობეტონების სამუშაოები დაათვალიერეს. ეს გზა კიცხის იგორეთს უკავშირდება და შემდეგ ცენტრალურ მაგისტრალზე ხარაგაული - ზესტაფონის გზას უერთდება.

,,დიდი ხნის განმავლობაში ელოდა მოსახლეობა ამ გზის რეაბილიტაციას. საკმაოდ რთულ რელიეფზე მიმდინარეობს სამუშაოები. ბეტონმზიდი მანქანები ვერ მიდიან პირდაპირ ობიექტამდე, ხდება გადაცლა და ბეტონის მასის ამ ფორმით შემოტანა. მიუხედავად იმისა, სად ვაგებთ გზას და რა პირობებში, სტანდარტი და მოთხოვნა ყველგან ერთია. ყურადღება ექცევა, როგორც ხარისხობრივ მხარეს, ასევე პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას,"-განმარტა ხარაგაულის მერმა.

საქარიქედი - ლაშის იგორეთის დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარი 1800 მეტრ მონაკვეთზე იგება. პროექტი გარდამავალი იყო და სრული ღირებულება 484 476 ლარია.

ხარაგაულის მერი იმყოფებოდა სოფელ ხორითშიც, სადაც რეაბილიტაცია გზის 1575-მეტრიან მონაკვეთს უტარდება. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 202 556 ლარია.

აქტიურ ფაზაშია ღარიხევის გზის რეაბილიტაცია. პროექტის საერთო ღირებულება 191 528 ლარს შეადგენს. მიმდინარე წელს კი 156 393 ლარის სამუშაოები განხორციელდება.

როგორც ჩვენთან საუბარში კობა ლურსმანაშვილი აღნიშნავს, ხარაგაულში ისტორიას არ ახსოვს იმდენი თანხები მოხმარებოდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, როგორც ეს ბოლო რვა წლის განმავლობაში ხდება. ,,ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში 150 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ძირითადად ცენტრალური გზები მოვიცავით და ახლა ჩიხებსაც მივხედავთ." - აცხადებს ხარაგაულის მერი.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მერი, კობა ლურსმანაშვილი, ინიციატივით, ბიბლიოთეკარებს ხელფასი მოემატათ

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, მერის პირველ მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილთან ერთად, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სოფლის ბიბლიოთეკარებს შეხვდა. მერის უშუალო ინიციატივით, მათი სახელფასო ანაზღაურება ასი ლარით გაიზარდა. კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნული ინფორმაცია ბიბლიოთეკარებს პირადად გააცნო და მათ წლების განმავლობაში საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებისთვის მადლობა გადაუხადა.

,,თქვენი ერთგულება და სიყვარული საქმისადმი ნამდვილად დასაფასებელია. შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლეს უნარჩუნებთ დიდი ისტორიის მქონე საგანმანათლებლო კერებს. შევეცადეთ, თქვენი ღვაწლი ამ ფორმით დაგვეფასებინა და შემდგომში ამ კუთხით ცვლილებები კიდევ იქნება. ასევე აუცილებლად მოვაგვარებთ სოფლის ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურის მხრივ არსებულ პრობლემებს."-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" დირექტორის, ნიკოლოზ მაჭავარიანის, ინფორმაციით, ამჟამად სამსახურის დაქვემდებარებაში 25 ბიბლიოთეკა შედის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლეღვნისა და ვერტყვიჭალის განყოფილებები ჩართულია პროექტში ,,ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას".

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად ხდება ბიბლიოთეკებში წიგნის ფონდის განახლება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში წყალარინების (კანალიზაციის) ახალი სისტემა მოეწყობა. ამ მიზნით სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და პრობლემა, რომელიც წლებია, აწუხებს დაბის მოსახლეობას, რამდენიმე თვეში გადაიჭრება. როგორც სატენდერო დოკუმენტაციაშია მითითებული, პროექტირება-მშენებლობის ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან, არა უმეტეს, რვა თვეა.

მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი და მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი.

კობა ლურსმანაშვილის განმარტებით, წყალარინების ცენტრალური სისტემის მოწესრიგების შემდეგ, დაბის ტერიტორიაზე გზის მთლიანი საფარის რეაბილიტაცია განხორციელდება. მისივე განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს მომავალში დაბის მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებითა და წყალარინების (კანალიზაციის) ახალი სისტემით ისარგებლებს.

პროექტი შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1 890 360 ლარია. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი" ასრულებს.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების სამსახური შეიქმნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი სამსახურის - მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის - დებულება დამტკიცდა. საკითხი 7 ივნისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარმოადგინა. დებულება შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

დებულების შესაბამისად.

კახაბერ გოლუბიანის ინფორმაციით, შესყიდვების სამსახური ექვსი საშტატო ერთეულით დაკომპლექტდება. აქედან სამ შტატს განყოფილებაში უკვე დასაქმებულები დაიკავებენ, დანარჩენებზე კი ვაკანსია გამოცხადდება და კადრები კონკურსის მიხედვით შეირჩევიან.

როგორც დებულებაში ვკითხულობთ, სამსახური წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების დადგენილი წესით განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სამსახურების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს როგორც სამსახურის დებულებას, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის ცვლილებას.

მარიამ შარიძაძე

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით 2 104 678 ლარი გამოეყო

რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მეორე ეტაპზე 2 104 678 ლარი გამოეყო. დამატებითი თანხების მისაღებად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან აქტიურ მოლაპარაკებას ანარმოებდნენ მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე და მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი.

როგორც ჩვენთან საუბარში კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, აღნიშნული თანხით ხარაგაულში დამატებით 14 პროექტი განხორციელდება. მისივე ინფორმაციით, პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მიენიჭა, გარდა ამისა, დიდვაკის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციისათვის - 202 904 ლარი დაიხარჯება.

მუნიციპალიტეტში დამატებით შემდეგი პროექტები განხორციელდება:

ბორითის საუბნო გზის რეაბილიტაცია (გორგაძეებისა და ფაბრიკის უბნები) - 250 000 ლარი;

თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) -114 000 ლარი;

ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთის უბანი) - 200 000 ლარი;

ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი, მეორე ეტაპი) -109 649 ლარი;

ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი;

მაქათუბანში (ორი უბნის) გზის რეაბილიტაცია - 150 000 ლარი;

ხევის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 130 172 ლარი;

სარგვეშში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხვიჩა მუმლაძის უბანი) - 100 000 ლარი;

უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 85 000 ლარი;

ლახუნდარაში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 128 452 ლარი;

ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 150 000 ლარი;

კიცხში საუბნო გზების (ზვიადაძეებისა და ბერაძეების უბნები) რეაბილიტაცია - 172 069 ლარი;

ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 112 432 ლარი;

შეგახსენებთ, რომ რეგიონული განვითარების ფონდიდან მიმდინარე წელს ხარაგაულს, საერთო ჯამში, 5 მილიონ ლარზე მეტი გამოეყო და აღნიშნული თანხით 32 პროექტის განხორციელება იგეგმება.

ეკა შავიძე

ფოტოკონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა" ფოტოკონკურსის - „ჩემი თვალით დანახული გაზაფხულის" - გამარჯვებულები გამოავლინა, რომლებსაც ფასიანი საჩუქრები მერის პირველმა მოადგილევარლამ ჭიპაშვილმა და ამავე ცენტრის დირექტორმა გია ჭიპაშვილმა გადასცეს.

აღნიშნულ კონკურსში პირველი ადგილი საღანძილის საჯარო სკოლის მოსწავლე ანა კიკნაძემ დაიკავა, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები კი მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლეები- ანა კოვზირიძე და ლუკა ცისკაძე- გახდნენ.

შეგახსენებთ, რომ ფოტოკონკურსი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და გამარჯვებულები ფეისბუქ ლაიქების საშუალებით გამოვლინდნენ.

ეკა შავიძე

მადლობა, კეთილო ადამიანებო!

რამდენიმე ხნის წინ ჩემს ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა, მაგრამ პროფესიონალმა ადამიანებმა გადამარჩინეს.

სიტყვებით შეუძლებელია, გამოვხატო მადლიერება რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხარაგაულის საავადმყოფოს (დირექტორი გიორგი ამურველაშვილი) ქირურგ მალხაზ ბურნაძის, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგ იოსებ სეფაშვილის, ექიმის თანაშემწეების: თამარ ქავთარიას, ლია გიორგაძის, ნინო გოგბერაშვილის, ლალი შარიქაძისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ ვინც სიცოცხლე შემინარჩუნა.

ღმერთი გფარავდეთ მუდამ!

დარეჯან კიკნაძე, სოფელი საღანძილე.

ხარაბაულის მერის თანაშემწედ უჩა ბერაძე დაინიშნა

ხარაგაულის მერიაში საკადრო ცვლილება განხორციელდა. ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის ბრძანების საფუძველზე, მერის თანაშემწედ, კულტურის განვითარებისა და რელიგიის მიმართულებით, უჩა ბერაძე დაინიშნა. უჩა პროფესიით კინო-ტელე რეჟისორია, მას საჯარო სამსახურში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და ამ დრომდე არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. 2013-2014 წ.წ. გახლდათ გამგებლის მოადგილე, რომელიც კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებას კურირებდა, იყო ასევე კიცხის თემის მაჟორიტარი დეპუტატი და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს სპეციალისტი. ამ დრომდე კი ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრში" ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი გახლდათ.

საკრებულოში საქმიანობა უღიდესი პასუხისმგებლობაა

(ინტერვიუ სალანქიძის მაჟორიტარ დეპუტატთან)

საღანძილის თემი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ტერიტორიულად ერთ-ერთი ყველაზე დიდია, რომლის შემადგენლობაში ექვსი სოფელი: საღანძილე, ვანი, სხლითი, ჩხერი, ზარანი და ჯაფაროული შედის. თემი გამორჩეულია ბუნებითა და რელიეფით. საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

თემს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში, უკვე მეორედ განათლებით იურისტი დავით კიკნაძე წარმოადგენს. ბატონ დავითს საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მან საქმიანობა საღანძილის სკოლაში პედაგოგებით დაიწყო, სამი წლის განმავლობაში იყო ამავე სკოლის დირექტორი, შემდეგ გახლდათ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ახლა კი საკრებულოში განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეა.

დავით კიკნაძის მაჟორიტარობის პერიოდში საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. რა საჭიროებები აქვთ აქ მცხოვრებთ და რა გაკეთდა ბოლო წლების განმავლობაში, უფრო დეტალურად ამის შესახებ მაჟორიტარი დეპუტატი პირადად გვესაუბრება.

„ნამდვილად უდიდესი პასუხისმგებლობაა საკრებულოში მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობა. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგად გესმოდეს იმ სოფლის მცხოვრებთა საჭიროებები, რომლებმაც ნდობა გამოგიცხადეს. ასევე ყურადსაღებია სახელმწიფოებრივი აზროვნება და არა ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა, როგორ იყენებ შენს მანდატს, რამდენად ხარ მოტივირებული და შეესაბამება თუ არა დაგეგმილი ინფრასტრუქტურულ - სოციალური საკითხები მოსახლეობის მოთხოვნებს. სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ვიცნობ არა მხოლოდ ჩემი თემის საჭირბოროტო საკითხებს, არამედ მუნიციპალიტეტში არსებულ სიტუაციასა და საჭიროებებს. საღანძილის თემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ტერიტორიულად რთული უბანია. თითოეულ სოფელს ცალკეული სპეციფიკური საკითხები გააჩნია, ამიტომ ჩვენ პრიორიტეტებს მოსახლეობის უშუალო ჩართულობით ვარჩევთ. ვხვდებით მათ ადგილზე, ვისმენთ მოსაზრებებს და შესაბამის საკითხებს ვაყენებთ მერიის სამსახურებთან. წლების წინ საღანძილის მოსახლეობა დაკავებული იყო ტყეში სამასალე მერქნის მოპოვებით, უმრავლესობას ჰქონდა საკუთარი საწარმოები და სოფელი ძლიერი იყო. სამწუხაროდ, დღეს ადგილობრივებს ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობის პრობლემა აქვთ. როგორც ვიცი, ამ საკითხზე მუშაობა აქტიურად ხორციელდება და იმედს ვიტოვებ, რომ ყოველივე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდება.

-თქვენი მაჟორიტარობის პერიოდში საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში რომელი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და რა იგეგმება სამომავლოდ?

-საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ შევძელით ისეთი მასშტაბის პროექტების განხორციელება, რომლებზეც შეიძლება ვერც ვიოცნებებდით, ყოველივე კი ადამიანებს სოფლად ცხოვრების სურვილს უძლიერებს. რაც უმთავრესია, სოფლების უმეტესობას აქვს კეთილმოწყობილი გზა, ელექტროენერგია და ნაწილს-ბუნებრივი აირი. ჯაფაროულსა და ჩხერში ყველა ოჯახს მიეწოდება ბუნებრივი აირი, აქ არის ასევე რეაბილიტირებული გზა. ზარანში პროექტით გათვალისწინებული ცენტრალური გზის მობეტონებითი სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. ასევე მოწყობილია გარე განათების სისტემა, რომელიც გარკვეულ კომფორტს უქმნის მოსახლეობას.

საღანძილეში 2018 წელს დასრულდა ცენტრალური გზის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, თუმცა იქ გვაქვს სამი უბანი (მაღლა მინდორი, საღანძილის თავის და იჩქიტიძეების), რომლებზეც გაკეთებულია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, ველოდებით დაფინანსებას. რაც შეეხება ვანსა და სხლითს, აქაც მასშტაბური პროექტები განხორციელდა. 2016 წელს დასრულდა ვანის ცენტრალური გზის მობეტონება. ამჟამად მიმდინარეობს სხლითის გზის მობეტონება. აგრეთვე რეაბილიტაცია უტარდება ვანი-ღუდუმექეთის დამაკავშირებელ გზას, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ საღანძილეში არაერთი პროექტი განხორციელდა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მოსაწესრიგებელია საუბნო გზები, რაც ეტაპობრივად განხორციელდება.

ასევე აუცილებელია სოფლების გაზიფიცირება. ამ ეტაპზე ბუნებრივი აირი ჩხერისა და ჯაფაროულის მოსახლეობას მიეწოდება. გაზიფიცირებასთან დაკავშირებული წინასწარი პროექტები უკვე გაკეთებულია ზარანში, საღანძილეში, ვანსა და სხლითში.

საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არის შინმოუსვლელთა მემორიალი, რომლის აღდგენასაც ვახორციელებთ. კეთილმოწყობის სამსახურს მასალები შეძენილი აქვს და სამშენებლო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. ვფიქრობ, აღნიშნული ტერიტორია კულტურულ ცენტრად გავხადოთ. აქვე დავსძენ, რომ თემში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ხდება ადგილობრივების დასაქმება, რაც მეტად მნიშვნელოვანია. სასიხარულოა ასევე, რომ მოხდა სოფელ ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია, რომელიც ფონდ „ქართუს“ მიერ დაფინანსდა და აქტიურად დაგვეხმარა ბატონი ზურაბ ხვედელიძე, რომლის უშუალო ჩართულობით რამდენიმე თვეში განხორციელდა ეკლესიის სარემონტო სამუშაოები. აქვე აღვნიშნავ, რომ აქტიურად ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის მერიასთან, შესაბამის სამსახურებთან და, ბუნებრივია, გუნდურ მუშაობას შედეგი ყოველთვის მოაქვს.

-საღანძილეში არასოდეს ყოფილა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, მიმდინარე წელს კი მოხდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ბაღის აგება. არის თუ არა სოფელში ბავშვთა კონტინგენტი?

-ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელიც საღანძილეში განხორციელდა, ეს იყო საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან შვიდას ოცი ათასი ლარით დაფინანსდა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროექტის განხორციელებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა. ბაღი 50 აღსაზრდელზეა გათვლილი და ევროსტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი. ამჟამად საღანძილის ბაღში 17 აღსაზრდელია და კონტინგენტი მზარდია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აქ ადგილობრივი კადრებია დასაქმებული. პარალელურად დავიწყეთ ზრუნვა საღანძილეში სკოლის ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით, რაზეც აქტიური კომუნიკაცია გვაქვს ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებთან. სკოლას მრავალწლიანი ისტორია აქვს და კარგი იქნება, ეს საკითხი დადებითად გადაიჭრას. აქვე გეტყვით, რომ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, ყველაზე მწვავე პრობლემა საღანძილის სკოლაშია, რომელიც აუცილებლად მოგვარდება.

-დაიწყო თუ არა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი პროექტების განხორციელება საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში?

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ რამდენიმე წელია, წარმატებით ხორციელდება და გამონაკლისი არც მიმდინარე წელია. ჩავატარეთ მოსახლეობასთან საერთო კრებები, რომლებზეც გამოიკვეთა პრიორიტეტები და ამის მიხედვით გაკეთდა პროექტები. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში ხდება ძირითადად გარე განათების სისტემის მოწყობა, სასმელი წყლისა და საუბნო გზების შეკეთება. ხელშეკრულებები უკვე გაფორმდა შემსრულებელ კომპანიებთან და სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება. ვფიქრობ, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელში ბევრი ლოკალური და პრობლემური საკითხი გადაიჭრა.

-ბატონო დავით, როგორია ადგილობრივთა სოციალური მდგომარეობა?

-საღანძილეში საკმაოდ მშრომელი ხალხი ცხოვრობს. უმრავლესობა დაკავებულია სოფლის მეურნეობით, ოჯახებს აქვთ გარკვეული შემოსავლები, თუმცა სოციალური მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. სამწუხაროდ, ეს გლობალური პრობლემაა და ხარაგაული, როგორც მოგეხსენებათ, ეკონომიური თვალსაზრისით არც ისე ძლიერი რაიონია.

ჩვენ, რაც შეგვიძლია, მაქსიმალურად გვერდით ვუდგავართ მოსახლეობას, სისტემატურად ვეხმარებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამების ფარგლებში. ეს არის მედიკამენტების, ერთჯერადი ფინანსური, გამოკვლევებისა თუ საოპერაციო თანხები.

სამწუხაროდ, სოციალური დახმარების სფერო ნამდვილად „აქილევსის ქუსლია“ და ამ საკითხში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ვერ ვერევით. ვფიქრობ, ფულადი დახმარების გაცემის წესი მთლიანად შესაცვლელია. სოფლის მცხოვრებნი ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებით, რაც, ვფიქრობ, სამართლიანია.

-და ბოლოს, გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე.

-სამომავლოდ ვგეგმავთ, რომ ჩხერის ციხეზე განხორციელდეს გარე განათების სისტემის მოწყობა, გაკეთდეს შიდა საუბნო გზები, თემში შემავალი ყველა სოფელი იყოს უზრუნველყოფილი სასმელი წყლითა და ბუნებრივი აირით. ყველა დამემოწმება, რომ ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება, როგორც ამბობენ „რომი ერთ დღეში არ აშენებულა,“ მაგრამ ის უმთავრესი საკითხები, რომლებიც მწვავედ დგას სოფელში, ეტაპობრივად გვარდება. ჩემი დიდი სურვილია, რაც შეიძლება მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას და ოჯახები დამაგრდნენ სოფლებში. ვფიქრობ, როდესაც სოფელში არის სკოლა, კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი, გზა, წყალი და ბუნებრივი აირი, სხვაგან წასვლაზე აღარ უნდა ვიფიქროთ.

და ბოლოს, მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს და მმართველ გუნდს ნდობისთვის. ორჯერ ვიყავი საკრებულოში საღანძილის თემის მაჟორიტარი დეპუტატი და შევეცადე, გარკვეული წვლილი შემეტანა ამ თემის განვითარებაში. მიუხედავად ჩემი აქტიურობისა, პრობლემები კვლავ გვაქვს. თუმცა მზად ვარ, ჩემი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, გვერდით დავუდგე თითოეულ ოჯახს. მჯერა, რომ ერთობლივი ძალებით უკეთეს ხვალინდელ დღეს შევქმნით.

თამარ მაღრაძე

მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა

შვიდ ივნისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში განიხილეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ წარადგინა. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა და საკურატორო სფეროში შემავალი ორგანიზაციების აქტივობებზე. აქვე დასძინა, რომ, კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, არაერთი პროგრამა დარჩა განუხორციელებელი.

„გასული წლის ზაფხულში, პანდემიის შემსუბუქების დროს, მოვახერხეთ, ჩაგვეტარებინა რამდენიმე ღონისძიება. ეს იყო თოჯინების თეატრის სპექტაკლები დაბასა და სოფლებში. მუზეუმის ეზოში ვუჩვენეთ „დარისპანის გასაჭირი“ და მონაწილეობა მივიღეთ იმერეთის თეატრალურ ფესტივალში. მიმდინარე წელსაც აქტიურად ვემზადებით ფესტივალში მონაწილეობისათვის, რომელზეც რეზო კლდიაშვილის პიესა „იმერული რეკვიემის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით წარვდგებით. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს თეატრს შეუსრულდა 120 წელი და რამდენიმე თვის განმავლობაში თეატრმა სოციალურ ქსელსა და პრესაში განახორციელა კამპანია „ხარაგაულის თეატრი -120,“ რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.“-ამბობს ირინე ჩხეიძე.

როგორც მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, კულტურის სამსახურის დაფინანსებით, ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს საჩხერეში გამართულ ფეხბურთის სამყვარულო ლიგის ჩემპიონატში. ასევე ჩატარდა ტრადიციული დოღი ვახანსა და ხიდარში, კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა მიზანში სროლის ტურნირი, ღია ცის ქვეშ მოეწყო მუსიკალურ სკოლასთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ ,,გრავეს“ კონცერტი. პედაგოგთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, სამსახურმა საჩუქარი გადასცა 26 წარმატებულ პედაგოგს. გარდა ამისა, მათივე დაფინანსებით, საახალწლო საჩუქრები გადაეცათ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 15 წლამდე შშმ პირებსა და ყველა საბავშვო ბაღის აღსაზრდელს.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა შეძლეს ონლაინ პროექტების განხორციელებაც. გასულ წელს ღია სივრცეში ჩატარდა საგანმანათლებლო პროექტი „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 75-მა მოსწავლემ.

საუბრისას კულტურის სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმზე.

„ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს, მასში დაცული ისტორიული და არქეოლოგიური უნიკალური მასალით, რომელიც ნათლად ასახავს რაიონის წარსულსა და დღევანდელობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიის წარმოჩენაში.

მუზეუმი ვიზიტორებისათვის პირველი მარტიდან გაიხსნა და ამავე თვეში საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგების ჩართულობით, ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“. პანდემიის პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ხელოვნების ქურუმის, ლევან ცუცქირიძის სახელობის სამხატვრო სტუდიის ხელმძღვანელის, მამუკა ცუცქირიძის, ინიციატივით, მუზეუმისთვის საჩუქრად გადმოცემული ფერწერული ტილოების დამუშავება და საგამოფენოდ მომზადება, რამაც 2017 წლიდან დღემდე 265 ერთეული შეადგინა.“-განმარტა კულტურის სამსახურის უფროსმა.

წარმოდგენილ ანგარიშში ხაზგასმულია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, თეატრმა ღია სივრცეში გამართა ტრადიციული სამხატვრო პლენერი „გამა-5“ , მოაწყო ახმედ გოგოლაძისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია და დაიწყო ფილმის გადაღება გალაკტიონ ტაბიძის ფარცხნალში პედაგოგად მოღვაწეობის ერთწლიან პერიოდზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 19-20 ივნისს ლიტერატურული თეატრი უკვე მეექვსედ გამართავს სამხატვრო პლენერ „გამას.“

გარდა ამისა, ივლისის თვეში ჩაატარებს ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპექტაკლს და ხარაგაულის საზოგადოებას შეახვედრებს სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის სოლისტს ბატონ თენგიზ უთმელიძეს ცნობილი ფოტოგამოფენით ,,სუხიშვილები სცენაზე და სცენის მიღმა.“

ირინე ჩხეიძე გვაცნობებს, რომ ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განხორციელებული იყო არაერთი პროექტი, როგორებიცაა: „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან,“ ,,სტუმრად ბიბლიოთეკაში,“ ,,შევინარჩუნოთ სიძველეები“ და ა.შ. 2020 წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ, ვაუჩერიზაციის ფარგლებში, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდა, ხარაგაულის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ შეიძინა 1150 ლარის (190 ცალი) წიგნი. ვაუჩერიზაციის გარდა, ბიბლიოთეკამ დამატებით შეიძინა 1800 ლარის მკითხველების მიერ მოთხოვნილი ლიტერატურა. გარდა ამისა, მიმდინარე წელს ბიუჯეტიდან დაგეგმილია 2200 ლარის ლიტერატურის შეძენა.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მუშაობა განაახლეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ხალხური სიმღერისა და ვაჟთა ვოკალურმა გუნდებმა, ანსამბლმა ,,ოდილამ“ და სამეჯლისო ცეკვების წრემ.

კოვიდპანდემიის პერიოდში საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“, სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა ფოტოკონკურსი „ზამთარი ხარაგაულში,“ შეჯიბრებები სამოყვარულო

გაგრძელება ▶ გვ 4

მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა ხატვის კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვა

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ (დირექტორი გია ჭიპაშვილი) ორგანიზებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხატვის კონკურსი მიმდინარეობდა. საკონკურსო თემა - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - პირველი ივნისი იყო. ღონისძიებაში ხარაგაულის საჯარო სკოლების 32 მოსწავლე ჩაერთო და გამარჯვებულები სპეციალურად შექმნილმა ჟიურიმ გამოავლინა. დაჯილდოებას დაესწრო ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელმაც გამარჯვებულებს სიგელები გადასცა.

უფროსი კლასებიდან პირველ ადგილზე თამთა პავლაძე (ბორის სკოლა-პანსიონი) გავიდა, მეორეზე- ნინო მუმლაძე (ბორის სკოლა-პანსიონი), მესამეზე კი - ნათია გუდაძე (წიფის საჯარო სკოლა);

უმცროსი კლასებიდან პირველი ადგილი სალომე კურტანიძემ (ღორეშის საჯარო სკოლა) დაიკავა, მეორე - ნათია კვინიკაძეს (ლაშის საჯარო სკოლა) ხვდა წილად, ხოლო მესამე - ანასტასია ბერაძეს (კიცხის საჯარო სკოლა);

„ჟიურის სიმპათია“ გახდნენ:

ნინო შარიქაძე (ლეღვნის საჯარო სკოლა);

თეონა ჭიპაშვილი (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია);

გიორგი გუნთიაშვილი (ზვარის საჯარო სკოლა);

ლუკა ჯამაგიძე (მოლითის საჯარო სკოლა).

პროექტი - „ქართული კულტურის დღეები“ - ხარაგაულელი ახალგაზრდები შეუერთდებიან

არასამთავრობო ორგანიზაცია „Icsu - დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტური გაერთიანების“ წარმომადგენელმა გიგა გლუნჩაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შეხვედრა გამართა, რომელსაც კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი და ხარაგაულიდან პროექტში ჩართული სტუდენტები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ბატონმა გიგამ მათ მიერ წარმატებით განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრა და წარმოადგინა ახალი პროექტი „ქართული კულტურის დღეები - მესტია 2021“. მომხსენებლის თქმით, აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და ახალგაზრდების ჩართვას ქვეყნისთვის სასიკეთო პროცესებში. მისივე ინფორმაციით, „ქართული კულტურის დღეები - მესტია 2021-ის“

მიზანია საქართველოს რეგიონებიდან აქტიური და ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვა. პროექტში სულ 800-ზე მეტი სტუდენტი და სკოლის მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას, ხარაგაულიდან კი მათს რიგებს შვიდი ახალგაზრდა შეუერთდება.

„ქართული კულტურის დღეები მესტია - 2021“ 25 ივნისიდან 15 ივლისამდე ჩატარდება.

პროექტის სლოგანია: I see you- გაიცანი მსოფლიო და განავითარე შენი რაინონი!

მარიამ შარიქაძე

ხარაგაულში, კიკნაძის ქუჩაზე, საყრდენი კედელი გაკეთდება

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, დაბა ხარაგაულში, ანზორ კიკნაძის ქუჩაზე, თამარ შველიძის სახლის მიმდებარედ, დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენა იგეგმება. სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ტენდერი დასრულდა. გამოვლინდა გამარჯვებული ი/მ ლეილა კიკნაძე, რომელიც ვალდებულია, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 სამუშაო დღეში განახორციელოს.

აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15 150 ლარი დაიხარჯება.

ხარაგაულის რამდენიმე სოფელში, გზის რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერები გამოცხადდა

მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მშენებლობის მიზნით, ხარაგაულის მერიამ ტენდერები გამოაცხადა. კერძოდ, უახლოეს მომავალში გზის რეაბილიტაცია იგეგმება სოფელ ღორეშაში (ღორეშა-მარიამწყაროს გზა), სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება და პირველ ეტაპზე, 2021 წელს, შესრულდება 200 000 ლარის ღირებულების სამუშაოები. აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ თვეში დასრულდება. საერთო ჯამში, ამ პროექტზე 300 000 ლარი დაიხარჯება.

გზის კეთილმოწყობა განხორციელდება სოფელ ლეღვანში, რომელიც ასევე ორ ეტაპს მოიცავს და საერთო ღირებულება 295 000 ლარია; მიმდინარე წელს დაიწყება ბეტონის საფარის დაგება სოფელ ბორითში (ფაბრიკის უბანი-სავარაუდო ღირებულება 350 281 ლარი), სოფელ მაქათუბანსა (სავარაუდო ღირებულება -250 000 ლარი) და სოფელ უბისაში (სავარაუდო ღირებულება- 185 000 ლარი), რომლებიც გარდამავალი პროექტებია და 2022 წელს დასრულდება.

გარდა აღნიშნულისა, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, რომელიც თვის ბოლოს გამოვლინდება, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა უზრუნველყოს ხევის (სავარაუდო ღირებულება -130 172 ლარი), ლახუნდარის (სავარაუდო ღირებულება- 128 452 ლარი), სარგვეშის (სავარაუდო ღირებულება-100 000 ლარი), კიცხისა (ბერაძეებისა და ზვიადაძეების უბნები-სავარაუდო ღირებულება 172 069 ლარი) და ვარძიის (მესამე უბანი-სავარაუდო ღირებულება- 150 000 ლარი) გზების რეაბილიტაცია.

ეკა შავიძე

პირველი ივლისიდან ბავშვთა ფინანსური დახმარება გაორმაგდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, გადაწყვეტილებით, პირველი ივლისიდან სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარება გაორმაგდება. კერძოდ, ფულადი დახმარება, არსებული 50 ლარის ნაცვლად - 100 ლარამდე გაიზრდება. ასევე გაიზრდება დახმარების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა. არსებული 100 000 ქულის ნაცვლად, 100-ლარიან დახმარებას მიიღებენ 120 000-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახებში მცხოვრები ბავშვები. ეს გადაწყვეტილება 215 ათასზე მეტ ბავშვს შეეხება. აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 145 მილიონი ლარი დაიხარჯება.

დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერი გამოცხადდა

დიდვაკის ბინები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია იგეგმება. ხარაგაულის მერიამ, აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტენდერი გამოაცხადა. როგორც დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, შემსრულებელი კომპანია ვალდებულია, სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 91 კალენდარულ დღეში განახორციელოს. აქვე გეტყვით, რომ დიდვაკის ბინების რეაბილიტაციის მიზნით, რეგიონული განვითარების ფონდიდან 202 904 ლარი დაიხარჯება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პროექტზე დამატებით ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 37 786 ლარი გამოიყო. ამ თანხით შეიცვლება ბინების სახურავი, გარდა ამისა, დაგეგმილია საერთო სარგებლობის კიბეების რეაბილიტაცია.

აქვე გეტყვით, რომ პრობლემა, რომელიც დიდვაკის მოსახლეობას წლებია, აწუხებს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო ძალისხმევით გადაიჭრება.

როგორც ხარაგაულის მერი განმარტავს, მუნიციპალიტეტში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს და ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში ბევრი სიახლე იქნება.

ეკა შავიძე

პროექტ „ახალი სკოლის მოდელის'' ფარგლებში ხარაგაულში ტრენინგები ჩატარდა

პროექტი ,,ახალი სკოლის მოდელი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წლიდან დაიწყო და აქტიურად ხორციელდება. პროექტი ზოგადი განათლების რეფორმის ნაწილია და მისი მიზანია, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა 2024 წლისთვის საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ პროექტში მიმდინარე წელს ექვსი სკოლა ჩაერთო. ესენია: დაბის მეორე, მესამე, ხევის, ხიდრის, ბორისა და მარელისის საჯარო სკოლები. პანდემიიდან გამომდინარე, ტრენინგებში პედაგოგები ძირითადად ონლაინ ფორმატით ერთვებოდნენ, თუმცა რამდენიმე დღის წინ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ღონისძიებას აუდიტორიაში დასწრებოდნენ, რომელიც ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მიმდინარეობდა.

,,ძალიან მიხარია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან საჯარო სკოლები აქტიურად ჩაერთნენ აღნიშნულ პროექტში. პედაგოგებს ტრენინგებს საგნობრივი ექსპერტები უტარებენ, რომლებსაც პერიოდულად ვიწვევთ სამუშაო შეხვედრების ფორმატით. მარტის თვეში დაწყებითი კლასის ექსპერტი -ნათია ბრეგაძე გვყავდა ჩამოყვანილი, ივნისში კი ოთხი საგნის (ბიოლოგიის, ფიზიკის, ხელოვნებისა და სპორტის) ექსპერტები იყვნენ მოწვეული. ასევე იგეგმება სხვა საგნების ექსპერტების მოწვევაც. მადლობას ვუხდით სტუმრებს მობრძანებისთვის და ასევე ჩვენს პედაგოგებს, რომლებიც მუდამ მზად არიან პროფესიული განვითარებისთვის.“- განმარტავს ჩვენთან საუბარში ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის კოორდინატორი ნათია კაციტაძე .

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში იქმნება მხარდამჭერთა ჯგუფები, რომლებიც სკოლის პედაგოგებს რამდენიმე მიმართულებით უწევენ კონსულტაციას: სასკოლო სასწავლო

გეგმის განვითარება; დანერგვა; სკოლის მართვის ეფექტური მიდგომა და სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება.

მარელისის საჯარო სკოლის დირექტორი და ბიოლოგიის პედაგოგი, ვერა ოდიკაძე:

,,ახალი სკოლის მოდელი“ ძალიან საინტერესო პროექტია საგანმანათლებლო სივრცეში. ტრენერებთან და საგნის მოწვეულ ექსპერტებთან ერთად სიღრმისეულად გავდივართ სწავლების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებს. გარდა ამისა, პროექტი იმითაც ძალიან საინტერესოა, რომ სხვადასხვა სკოლის საგნობრივ კოლეგებს ურთიერთთანამშრომლობა გვიწევს და ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას ერთმანეთს ვუზიარებთ. ძალიან მომწონს პროექტის მიდგომა, რომლის მიხედვითაც საკლასო ოთახიდან იწერება ეროვნული სასწავლო გეგმა, რაც ხელს უწყობს, რომ იგი მაქსიმალურად მორგებული იყოს თითოეული სკოლის საჭიროებებსა და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, მხარდამჭერი ჯგუფის ჩართულობით, თითოეული სკოლა თავად ქმნის სასკოლო სასწავლო გეგმას (კურიკულიუმს). მოხარული ვართ, რომ საშუალება მოგვეცა, ცოცხალი შეხვედრის ფორმატში ჩავრთულიყავით ტრენინგში.“

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტრენინგები ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის ეტაპობრივად განხორციელდება.

მარიამ შარიქაძე

ხარაგაულის ,,ზრდასრულთა განათლების ცენტრს“ რამდენიმე სასწავლო კურსი დაემატება

ხარაგაულში ,,ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ 2019 წელს ,,სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის“ ორგანიზებითა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ზრდასრულთა განათლების სფეროს განვითარება და პროფესიული კადრების ჩამოყალიბების ხელშეწყობაა. ცენტრი დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, უფასოდ აიმაღლონ კვალიფიკაცია, რაც შემდგომში მათს დასაქმებას შეუწყობს ხელს. კოვიდპანდემიის ფონზე, ორგანიზაციამ მიმდინარე წელს, რეგულაციების სრული დაცვით, აქტიური მუშაობა განაახლა და ამ ეტაპზე: ჭრა-კერვის, ფანდურის, მეფუტკრეობის, თექის, კერვის, ფეხსაცმლის დიზაინისა და კერვის, ავტომანქანის მართვის თეორიის შემსწავლელი კურსები წარმატებით ხორციელდება.

ცენტრის მენეჯერის, ქალბატონ მანანა ტაბაშიძის, ინფორმაციით, უახლოეს მომავალში დაგეგმილია ხის ნაკეთობების შექმნის, ინგლისური ენის, მაკრამეს, ავტომანქანების კომპიუტერული დიაგნისტიკისა და ქართული კულინარიის შემსწავლელი კურსების გახსნა. აღნიშნულ წრეებზე მიმდინარეობს ჯგუფების დაკომპლექტება.

,,წინა წელს თექის შემსაწავლელი ჯგუფიდან თავისი ნამუშევრებით გამორჩეული იყო ორი კურსდამთავრებული: სოფო მირცხულავა და ნინო ცანკაშვილი. სოფოს ხელნაკეთები წარმოდგენილი იყო საგაზაფხულო გამოფენაზე, რომელიც მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ხარაგაულის კინოთეატრში მოეწყო. სამომავლოდ ვგეგმავთ, ღია ცის ქვეშ მოვაწყოთ ცენტრის ბენეფიციართა მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, რაც მათთვის მოტივაციისა და სტიმულის მიმცემი იქნება,“- აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ქ-ნ მანანა.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ხარაგაულის ,,ზრდასრულთა განათლების ცენტრში“ 61 -მდე ბენეფიციარი სწავლობს.

მარიამ შარიქაძე

მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა

დასაწყისი ▶ გვ 2.

ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში და სხვა.

რეგულაციების დაცვით მიმდინარეობდა ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში სასწავლო პროცესი. მეცადინეობები ტარდებოდა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე დისტანციურად. ჩატარდა ონლაინ კონცერტები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები წარმატებით წარდგნენ კონკურსზე ,,მომავლის ვარსკვლავები.“ სამსახურის ორგანიზებით, დაგეგმილია რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება და სოფლებში ანსამბლ ,,გრავეს“ კონცერტები.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად დააფიქსირეს დადებითი პოზიციები სამსახურის საქმიანობისადმი და ქალბატონ ირინეს წარმატებები უსურვეს.

საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12